შპს „ტვ სარფი“
იური გაგარინის ქ. №24, მე-3 სართული,
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 570 101559
e-mail: abuchukuri@sarpitv.ge

20/05/2022

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას
ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
0144 თბილისი, საქართველო

წერილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილ სიხშირეების ეროვნულ გეგმასთან დაკავშირებით მოგახსენებთ ჩვენს პოზიციას:

შპს. „მთაწმინდა ტელერადიოკომპანია“ { ფლობდა № F33 ლიცენზიას, რომელიც მოიცავდა 2500 ÷ 2564 მჰც და 2612 ÷ 2636 მჰც სიხშირეს} და **შპს„ტვ სარფი“** -ს{ ფლობს №F8 ლიცენზიას, რომელიც მოიცავს 2564 ÷ 2612 მჰც და 2636 ÷ 2692 მჰც}, შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვახდენდით სატელევიზიო ციფრულ სატრანზიტო მაუწყებლობას/DVB T MMDS-ში/;

1. 2020 წლის თებერვალში
   არგუმენტაციის წარმოდგენის მიუხედავად, არ გაგრძელდა №
   F33 ლიცენზიის მოქმედება, რომელიც მოიცავს 2500 ÷ 2564 მჰც და 2612 ÷
   2636 მჰც სიხშირეს,
2. გავხდით იძულებული ოპერირება გაგვეგრძელებინა მხოლოდ დარჩენილი №F8 ლიც ენზიის ფარგლებში;
3. შევიძინეთ პროგრამული უზრუნველყოფა, სათაო და გადამცემი სადგურის აპარატუ რის სრული კომპლექტი, ქ. თბილისის მასშტაბით ჩავატარეთ სატელევიზიო ქსელის და მიმღები ანტენების სრული მოდერნიზაცია/რეკონსტრუქცია, საბოლოო ჯამში კი სამაუწყებლო არხების კომპრესია/შემჭიდროვება მოვახდინეთ, რომ აბონენტებს კვლ ავ სამაუწყებლო კონტენტის სრული პაკეტი მიეღოთ;

შ-22-6/1996
20.05.22
2+1ფ

ზემოთქმულის განხორციელების შემდეგ, ჩვენი სამაუწყებლო სიგნალის ხარისხი დაეცა, რა ზეც გვაქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რ აც შეგვიძლია განმეორებით წარმოგიდგინოთ;

დარჩენილი №F8 ლიცენზიას, რომელიც მოიცავს 2564 ÷ 2612 მჰც და 2636 ÷ 2692 მჰც სიხშირეს, ეწურება ვადა 2023 წლის 22 აპრილს.

ტექნიკური სამსახურის საფუძვლიანი მოკვლევის შედეგად, არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას რომ, კომპანიის ფუნქციონირება შეუძლებელია №F8 ლიცენზიის გაგრძელების გარეშე, კერძოდ:

1. ორგანიზაციულად, ფინანსურად, ტექნიკურად ვერ მოხერხდება კომპანიის ქსელის სტრუქტურული ცვლილება, ვინაიდან სქემატურად გვაქვს, ჰიბრიდული-საეთერო/კოაქსიალური მაუწყებლობა და საჭირო გახდება 700-ზე მეტი მიმღები ანტენის გამოცვლა;
2. გამოსაცვლელი და ჩასანაცვლებელია სამაუწყებლო სისტემის სათაო სადგური სრულად;
3. შესაცვლელია, საეთერო გადამცემი აპარატურა, ანტენებთან ერთად;
4. შესაცვლელია სააბონენტო რესივერები/მიმღებები;
5. პუნქტი 1; 2; 3 და 4 შესასრულებლად საჭიროა, ამ ეტაპზე განუსაზღვრელი დროით პარალელური მაუწყებლობა, რაც ფინანსური ხარჯების გარდა საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის, რაც აბონენტების დაკარგვის ტოლფასია;

პატივისცემით,

დირექტორი
ზამირა ჩიგოგიძე

_____

TV SARPI
445459423
GEORGIA, "TV SARPI" LTD